

მე მგონია, ამ გარემოების მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ ამ ჟამად მთელი მსოფლიოში მცხოვრებნი ნაკლებად არიან, სოფლებში სცხოვრებენ.

„ამით მაინც უნდა ვინუგეშოთ თავი...“

ჩვენ გვიამბეს შემდეგი ამბავი, რომელიც ერთს ქალაქის მღვდელს შემთხვევით ამ დღეებში:

ამ მღვდელს, დილით, საიდამალა 400 მან. მიუღია. იმავე საღამოს ერთი ახალგაზდა კაცი მისულა მღვდელთან და უთხოვრა: — მამო, მძიმე ავთმყოფი მყავს და თუ შეიძლება, სახარებელად წამოაბრძანდითო.

მღვდელს უარი არ უთქვამს, გაპყოლია ფაეტონით. 400 მან. ჯიბეში ჰქონია. ძუკიაში რამდენიმე კაცი დასცემია ამ მღვდელს, ის 400 მან. წაუტომევიან და გაქცეულან. ბევრი უყვირია ამ სულიერ მამას, მაგრამ კაცი მშველელი არ გამოჩენილა..

სომხ. გაზეთს „მშაკში“ იწერებინან მოთილად, რომ აქ ოთხას მანეთზე მეტი მოვაროვით ვანელ სი მხეხისათვისაო. ოთხას მანეთამდინ აგრეთვე ამავე საგნისათვის ახალქალაქშიაც მოუვაროვებიათ.

მეორე აქაურ სომხურ გაზეთს „მედუ ჰაიასტანში“ დაბეჭდილია, რომ მოსკოვში გამოსულა პირველი ნომერი ახლის სომხურის ჟურნალის, სახელად „სომხეთის ძანდელი“. რედაქტორი ამ ჟურნალისა არის ქალი მსერიანცი.

მოთილად გვწერენ: „აქაური ხილის მოიჯარადრევისაგან სწორეთ შეწუხებულთა გამეღეული ხალხი: მამა-კაცების ლანძღვა გინება და ცემა-ტყევა ყოველ დღიური მოვლენა იყო და ეხლა კი ქალებსაც მიჰყვებს ხელი. ბუშინ საღამოსას შევესწარი აქ შემდეგ ამბავს: ორი მოიჯარადრის ბიჭები ლაზათიანათა სცემდნენ სამს წესიერათ ჩაც-

მულ ქალებსა. ერთი მათგანი საწყალი მოხუცი კინალამ დაახრჩვეს, რომ ჩვენ არ მივსწრებოდით. მოიჯარადრე იქვე იდგა და ამხნევებდა თვისს ქვეშევრდომთა. როგორც შემდეგ გავიგეთ მიზეზი ამ ცემა-ტყევისა იგი ყოფილა, რომ ქალებს უთქვამთ ეხლავე ისე უკან დაებრუნდებოთ და მაშინ მოგცემთ ფულსაო. მხილეს სულ სამი კაპეიკი ერგებოდა. აი რა შეცდომისათვის გაუპატიურეს ეს ქალები. მე მგონია ყურადღების ღირსია ეს ამბავი.“

მცხეთობამდი ხუთი-ექვსი დღე-დაღვრჩა. რომ ჩვეულებრივ ორი-სამი საათი ბილეთის ასაღებათ არ იყოს გაჩერებული ხალხი მცხეთის სტანციასთან, რკინის გზის გამგეობა კარგს იზამდა გაეკეთებია ისეთი ბილეთი, რომლითაც მცხეთაში წასვლაც შეიძლებოდა და იქიდან დაბრუნებაც. ეს ბევრათ გაუადვილებდა საქმეს ხალხსაც და თითონ რკინის გზის გამგეობას.

შეცდომა. ბუშინ-წინდელს ნომერში მეორე გვერდზე, მესამე სვეტი ზემოდამ მე—46 სტრიქონში, ქალაქის რჩევის სხდომის ანგარიშში შეცდომა არის: ხმოს სტ. გ. ბებუთოვა სწერია, უნდა იყოს სტ. გ. ზანაფოვა.

წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო! შემხვდა წაკითხვა შესახებ ჩემზედ. თქვენის გაზეთის № 186-ში ენკენისთვის 4-ს კორრესპონდენტისა მართლიდამ.

დიდათ სამძიმოა ჩემთვის, რომ გაწუხებთ იმისთანა უბრალო და უსაგნო წერილზედ და პასუხს ვაძლევ; მაგრამ არ შეიძლება, როდესაც საკმენრათ მოდის რამ, რომ არ მოიგეროს კაცმა. რადგანც ვანდა სალაპარაკოთ, გთხოვთ მოისმინოთ ნამდვილი:.

ერთმა ბოროტმა პირმა მორეკამოზრობა ჭირით ავთმყოფები, და

თუ რამე საჩქაროთ ასაღებდა სოფლებში მაგრამ სადაც კი იყიდეს, ყველგან გაჩნდა ჭირი, რამდენიმე სოფლები ჩვენს ახლო-მახლო ლამის დაიღუპონ.

პორრესპონდენტისაგან მოხსენებულმა გლენმა მ. მეტრეველმაც იყიდა ერთი მოხვეერი, რომელიც ვანდა ავთ ჭირით და მოკვდა; მეორეს დღეს დეკუელიც გაუხდა ავთ. როდესაც გლენ-კაცობას შეეტყოთ, მეც შემატყობინეს. ჩვენ წავედით, რომ დავრწმუნდით, სწორეთ ჭირით ავთ არის, თუ არა, თითონ მეტრეველი შინ არ იყო, საფეკავი წაეღო სხვაგან. ხალხმა სთქვა, სწორეთ ვადეხადოთო, მაგრამ ეს კი მოვკლათო, რომ ჭირი არ გაჩნდესო. მაშინ სახლობას უთხარით ჩვენი აზრი და იმათაც უარი არ სთქვეს. იმ წამსვე იმათვე მეზობლებმა წაიყვანეს სოფლის მოშორებით, დაკლეს და დამარხეს. საღამოზედ მეტრეველი მოვიდა. უთხარით, როგორც იყო, და იმან პასუხათ გვითხრა, სოფლის ჭირის-სანაცვალო იყოსო. მე ჩემათ ერთი თუმანი დავპირდი, თუ რომ ჭირი არ გაჩნდება და სოფელმაც კომლზედ თითო ჩანახი პური, ასე რომ სამი თუმნის ანგარიში მოუვა და ის დეკუელი კი არ ღირდა ხუთ მანათი.

ბ. პორრესპონდენტს ჩემი სიკეთე ბოროტათ დაუნახამს. ჩემი აზრი ის იყო საწყალი ხალხი არ დაღუპულიყვენ და ვინც ეს სოფლეი დაღუპა, იმ პირზედ ეცნობებინა, უფრო უმჯობესი იქნებოდა: ეგებ კანონსაც დაესაჯნა; მაგრამ ყველა მიხედება, რომ ეს წერილი სიმურით არის დაწერილი და სდომებია ჩემი შერცხვენა. პორრესპონდენტის სიტყვით, მეტრეველი ქალაქს იყო; მე მრისხანებით მივედი, ჩემმა ბიჭებმა ჩემის ბრძანებით დეკუელი კლდეზედ გადავადეს.

რითი ამტკიცებს ამას? მე კი დაუმტკიცებ, რომ თითონ პატრონი მეტრეველისაგან და სხვა პირებისაგან, როდესაც საჭირო იქნება, რომ ნამდვილ სიტუაციას იწერება. ამას გარდა თითონ მეტრეველი არა სჩივის, მაგას

რა სჯოდა. ეს რაღაც სათქმელია, საცა გამეგებულ საქონელს დაინახავ, ჭირით ავთმყოფი მეგონება და ბიჭებს გაუსევე. მომეწიინება! მხლა სულ უპატრონოთ დადიან, მაშ სულ ჭირით იქნებიათ ავთ?!

თუნდა, სწორეთ ვსთქვათ, მრისხანებით მივედი და მომეკმედებინოს, როგორც სწერს, — ამ ჩემის უწესობით სოფელი ხომ მაინც ვადარჩავერ-ჯერობით. რომ ისე არ მოგვცეულიყავით, აქამდინ მესამედიც არ ვადარჩებოდა საქონელი.

უკანასკნელი სიტყვა: ბ. კორრესპონდენტი ტყუილათ სწუხდება მაყელების დარიგებაზედ; ამათენ ამგვარი დარიგება საჭირო არ არის: თაიანთ თავს არავის დაახ-გვრინებენ და ყველა კარგათ იციან.

ლუკასაზ წესტომის-ქე ბუკთაბუკოვი. ს. ყაი. 20 ენკენითუკს.

უსხოეთი

წერილი აბგამი: ვალასის ვენელი კორრესპონდენტი იწერება, აქ მოდის ხმაო, ვითომც ხონტქარს სიღუმლოდ გამოეცეს ფირმანი, რომლის ძალითაც რიზა-ფაშა ალბანის დენერალ-ლუბერნატორად (ვალი-ფაშად) ინიშნებოა. ამ ფირმანში, სხვათა შორის, რიზა-ფაშას ნაბრძანები აქესო მამაჯურად დაიცვას ლუცი-ნიოა და საჭიროება თუ მოითხოვს, ჩერნოვარიასაც ბრძოლა აუტეხოსო.

პეტის ერთი გაზეთის სიტყვით, პეტრიის გარეშე საქმეთა ნამინისტრალი გრაფი ანდრაში დამღურებია ეხლანდელს გარეშე საქმეთა მინისტრს ჰაიმერლეს, რომელმაც აღმოსავლეთის საქმის პოლიტიკაში გადაუხვია ანდრაშის მიმართულებას. ჭრანცი-ოსებს ჰაიმერლეს მხარე დაუჭერია.

ზამბეტასაგან შერბურგში წარმოთქმულ სიტყვისაგან აღშფოთებული ბერმანის ჟურნალ-გაზეთები ეხლა, საფრანგეთის ახალ სამინისტროს შედგენის შემდეგ, ხელ-ახლავ და-შოშმანდნენ და იმედოვნებენ, რომ საფრანგეთსა და ბერმანის შორის მშვიდობიან განწყობილებას ვერა შეამფოთებს და ვერა დაარღვევს-რაო.

ვიარეთ, მინამ ზღვის ნაპირადამ დანიშნულ სასტუმროში მოვიდოდით; ოთახების სიწმინდე და მოწყობილობა, რაღა კითხვა უნდა საუცხოვოა! ღანგრეულ დივანზე რომ დავეჯექი და ქუდი ერთ-ნახევარ ფეხიან სტოლზედ დავდვეი, მე კისრამდი დავიმაღლე მტვერში და ჩემი ქუდი უჩინ-მაჩინის ქუდათ გარდაიქცა!

ამის შემდეგ დიდის სიამოვნებით გამოვეთხოვე ოდესას, ვჯდები ვაგონში და მივემგზავრები ხარკოვისკენ.

სულ მინდვრები და მინდვრები! ბაფხეილი, ვატიტელბული, წითელ პარასკევსავით ვაგრძელებული მინდვრები! აქ ვერაფრით ვერ იქცევ კაცი თავს; დასჩერებინარ მხოლოდ ამ

გაუთავებელს გადახრუკულ მინდვრებს, გესმის მხოლოდ ორთქლის ქვაბის შიშინი და ბორბლების შრიალ-შრიალი, რომელიც მოგვგრის მხოლოდ მთქნარებასა და ძილს.

მე მაინც არ მძინავს. თუმცა ძლიერ მეძინება, მაგრამ ძილის სურვილს ვიკლავ მოხუც ფრანკუხსთან მუსაიფით, რომელიც ჩემთან მოდის ხარკოვამდი და იქედამ მანდეთ უნდა წამოვიდეს, მთილისში. ეს მეუბნება, რომ მთილისში ოცი წელიწადი ვარ საქართველო ძლიერ მომეწონა და იქ დავრჩი სულ საცხოვრებლათო, იქ წისქვილები მაქვს და იმით ესცხოვრებო; ქართველები მიყვარს, — კარგი ხალხია, მაგრამ ერთობ ხანგრძლივი

ძილი სცოდნიათო... მართული არ იცის ჩემმა მომუსაიფემ, რუსულსა ძრეელ „ამტრევეს.“ ხანდის-ხან ფრანცუზულს უნებლიეთ გამოურევეს და მეც, რომ არ ჩამოვრჩე უკან, ხან „უი, მოსიოს“ ვეუბნები და ხან „ნონ მოსიოს“-ს...

პრავითარი სწავლა მიუღია ამ ჩემ მოხუც ფრანკუსს, მაგრამ ყოველს მისს სიტყვაში გამოისმის სიტკობება, მისს ზრდილობიან ქცევაში იხატება ის რასაც ფრანკუხები „დელიკატეს“ ეტყვიან და რომელიც რუსულად და ქართულად ჯერ არც კი ვადითარგმნება და არც იხმარება.

მოვედით ხარკოვში. შაიტონში ვზივარ და მეფაიტონეს ვეუბნები,

მასკალიოვის ქუჩაზე მურავიოვის სახლში წაპიყვანე-მეთქი. მასწია და ამ ტვენ გაყინულმა შიგ ჩიგმარიოვის ეზოში ჩამიყვანა!.. როგორც იქნა, მოცდებენ ერთი ჩვენებური, ძავე-კასიელი სტუდენტი და პირველად მასთან ვაჩერდი.

შალაქი დავიარე, და თუამისი აღწერა გეინტერესება, ახლა კი შეგიძლია აილო „მეგენი ონგენი“ და ამოიკითხო იქ ოდესის მაგიერ ხარკოვი.

სიღვან.

ხარკოვი, 15 სექტემბერს.